საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/12013
30/08/2019

12013-2-03-2-201908301120

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის
უფროსს ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2019 წლის 20 აგვისტოს №6/49687 წერილი, რომელიც შეეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია) - ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის კმ88-ის და ფალიაშვილის ქუჩა N49-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარჯვენა მხარეს 5 მეტრის დაშორებით არსებული 1751 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ. N61.11.21.811) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი მოხდეს მოცემული 1751 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ. N61.11.21.811) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge